

მზრისტიკა - Heuristics - Эвристика (ბერძნ. eurika აღმოჩენა)

I. ფართო აზრით: მეცნიერება **ზემოქმედება-აღმოჩენის** შესახებ ან სწავლების **ვერისტიკული მეთოდი**; **II.** ვიწრო, უფრო თანამედროვე, კიბერნეტიკულ-ინფორმატიკული აზრით: რთული ამოცანების ამოხსნისას შერჩევითი ძიების თეორია და პრაქტიკა. კომპიუტერის ვერისტიკული პროგრამები განსხვავდება სისტემატური ძიების პროგრამებისგან იმით, რომ შეიცავს დიდი რაოდენობის ხდომილებათა ძიების შეზღუდვის კრიტერიუმებს (ე.წ. „ვერისტიკებს“). ესე იგი იმის ნაცვლად, რომ მიყოლებით გადაისინჯოს მილიონიდან ყველა შესაძლო ხდომილება (რაც ძალიან არაეკონომიურია), **შ**-ული ხერხებით ხდება გადასასინჯ ხდომილებათა წინასწარი ამონაკრების შერჩევა (გარკვეული კრიტერიუმებით), რათა გადაისინჯოს არა მილიონი, არამედ მხოლოდ ათასი ხდომილება (საკმაოდ ახლოსაა **სტატისტიკური შერჩევის პრეზენტატულობის** ცნებასთან); მაგრამ, ბუნებრივია, განსხვავებით სისტემატური ანუ სრული გადასინჯვის მეთოდისგან, **შ**, ეკონომიურობის სანაცვლოდ, ვეღარ იძლევა ამოცანის სრული ამოხსნის გარანტიას.

III. ადამიანის **შ**: რთული, მრავალგანზომილებიანი, ცვალებადი, განუზღვრელი ვითარების გამარტივება მასში გარკვევის მიზნით. ადამიანის **შ**-ები **ინტუიციურია**, არ დაიყვანება ფორმალურ ობიექტურ წესებზე, არამედ შერჩევითობას სუბიექტური მოტივაციურ-ემოციური პროცესებიც განსაზღვრავს. ამ პროცესებში მთავარია შესაბამის **ფიქსირებულ განწყობათა** ზემოქმედება. ამიტომ, ცხადია, ადამიანებს ძალიან სწორად ეშლებათ [მაგალითებისთვის იხ. **სტატისტიკური შეფასების ტიპური შეცდომა**].